

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტთან არსებული ქართული თეატრისა და ქართული კინოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მეცნიერთანამშრომლის თანამდებობის დაკავების წესთან დაკავშირებული ქულების მინიჭების განმსაზღვრელი ძირითადი მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი:
 - I. თითოეულზე 1 ქულა(წარჩინებული _ +1 ქულა);
 - II. პროფილურზე (თითოეულზე) 3 ქულა(წარჩინებული _ +1 ქულა).
2. სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური სტაჟი:
 - I. 1 წელი 1 ქულა.
3. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომი:
 - I.1 ნაშრომი - 1 ქულა.
4. წიგნი (უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად, წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე ნაკლებს)
 - I. პროფილური სახელმძღვანელო – 1 ცალი –7ქულა;
 - II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელო - 1 ცალი -5 ქულა;
 - III. პროფილური მონოგრაფია და ა.შ. – 1 ცალი - 3 ქულა;
 - IV. პროფილური ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79-გვერდამდე) – 1 ცალი - 2ქულა.
5. საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან სათანადო პროფილის მქონე ცენტრსა თუ ორგანიზაციაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:
 - I. საქართველოში 1 წელი - 1ქულა;
 - II. უცხოეთში - 2 ქულა.
6. პროფილური პრემია:
 - I. რუსთაველის სახელობის - 5ქულა;
 - II. სახელმწიფო - 4ქულა;
 - III. სახელობითი - 3ქულა;
 - IV. ყოველწლიური და ა.შ. – 2 ქულა;
 - V. უცხოური - 3 ქულა.
7. კომპიუტერული პროგრამების ფლობა:
 - I. თითოეული - 1 ქულა.
8. სამეცნიერო - კვლევითი ჟურნალის ან კრებულის რედაქციასთან თანამშრომლობა:
 - I. რაიმე სახის ანაზღაურებად თანამდებობაზე ყოფნა - 1წელი - 1ქულა;
 - II. სარედაქციო კოლეგიაში წევრად ყოფნა - თითოეულ შემთხვევაზე 2 ქულა.

9. პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის, ცენტრის ან საბჭოს წევრობა:
 - I. თითოეულის შემთხვევაში - 2 ქულა.
10. აკადემიური ხარისხი:
 - I. დოქტორი - 3 ქულა.
11. სამეცნიერო საკვალიფიკაციო ნაშრომებთან დაკავშირებით:
 - I. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 4 ქულა;
 - II. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 3 ქულა;
 - III. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 2 ქულა;
 - IV. სადოქტორო ნაშრომის ოპონენტობა - თითოეულზე - 3 ქულა;
 - V. სამაგისტრო ნაშრომის ოპონენტობა - თითოეულზე - 2 ქულა;
 - VI. საბაკალავრო ნაშრომის ოპონენტობა თითოეულზე - 1 ქულა;
 - VII. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა - თითოეულზე - 2 ქულა;
 - VIII. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 1 ქულა.

დამატებითი მოთხოვნები:

1. სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება:
 - I. დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 3 ქულა;
 - II. დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 5 ქულა.
2. პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში, მომხსენებლის რანგში მონაწილეობა:
 - I. საქართველოში, ადგილობრივი, თითო შემთხვევა - 3 ქულა;
 - II. საქართველოში, საერთაშორისო, თითო შემთხვევა - 4 ქულა;
 - III. საზღვარგარეთ, თითო შემთხვევა - 5 ქულა.
3. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი:
 - I. საქართველოში, 1 წელი - 1 ქულა;
 - II. საზღვარგარეთ, 1 წელი - 2 ქულა.